

რეზივინი გადასვს უცვლის?



ალექსანდრე
რეზივინი
კიევის
„დინამოს“
სურს და
თბილისის
„ლოკომოტივი“ გარჯიშოს


კიევი თავისუფალია

ვიტორი კიევი
გერმანულ „ფრაიბურგში“
შეთავის „ტორპედოს“
სამარებით გადავიდა

კვირას ვისი აჯობებს?

საქართველოს თასის
საფინალო მატჩებით
ქართული ფეხბურთის
საუკუნე გასრულდება

დასრულდება, არ დასრულდება



ფლორ აგელანუი
ბრაზილიაში სალანხდავ
სახელად ქცეულა

სუპერლიგაში ყველა მარცხიანი

ფაჩულიას გუნდი
კვლავ კაპიტანმა
წარდგინა იხსნა

ხიზანიშვილის საქმე: სფფ აბანტის წინააღმდეგ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ზურაბ ხიზანიშვილის აბანტს უჩივლა

თბილისის „ლოკომოტივის“ და საქართველოს
ნაკრების 19 წლის მცველის, ზურაბ ხიზანი-
შვილის გარშემო ატეხილ აურზაურში გუშინ
ზოგიერთ გარემოებას ნათელი მოეფინა.
მოგეხსენებათ, ხიზანიშვილის ტრანსფერი
ლონდონის „არსენალში“ ჩაიშალა და „სარ-
ბიელმა“ მიზეზის კვლევა გადაწყვიტა.
უმთავრეს მიზეზად თბილისის „ლოკომოტი-
ვი“ განიხილებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც
რკინიგზელთა პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ
არ დაგვიძალა მისი კლუბისა და ზურაბ ხიზ-
ანიშვილის ცარიელი კონტრაქტი, კლუბის და-
დანაშაულება არასწორი იქნებოდა. მიზეზი
სხვაგან გახლდათ საძიებელი და 5 დეკემბერს
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც გა-
მოგვეხმაურა:

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მგონია,
რომ მათ ერთმანეთთან სადავო არაფერი აქვთ.
ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან საჩივრით არც
ერთი გამოჩენილა — ასე უპასუხა ფედერა-
ციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლა-
რიამ „სარბიელს“ კითხვაზე, თუ ვის მხარეს
დღიჭერდა ფედერაცია „ლოკომოტივისა“ და
ზურაბ ხიზანიშვილის დავაში.

ვალერი ჩოლარი „სარბიელს“ სამშაბათს
დღით ესაუბრა, ნაშუადღევს კი ფიფასთან
ის მასალები მიიღო, რომელსაც შესაძლებელია
გვეჩვენოს: ჩოლარიას ფეხბურთის საერთა-
შორისო ორგანიზაციის მოთამაშეთა სტატუსი-
სა და ტრანსფერის იურიდიული სამსახურის
უფროსი ჯანაოლო მონტენერი წერს.

მონტენერიმ სფფ-ს ზურაბ ხიზანიშვილის
აგენტის, ათოლ სტილის წერილის ასლი გა-
მოუგზავნა, რომელსაც სათანადო დოკუმენ-
ტები ერთვის და, როგორც ირკვევა, საქარ-
თველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეტენზი-
ებზე პასუხს წარმოადგენს — ეს მასალები,
არც შეტი, არც ნაკლები, ჩოლარიამდე გუშინ
მოაწოდა „სარბიელს“.

მამასადადე — ჩოლარია ამბობს, ჩვენთან
საჩივრით არც „ლოკომოტივი“ გამოჩენილა
და არც ზურაბ ხიზანიშვილი, მაგრამ 16
ოქტომბერს საკუთარი ინიციატივით მიუძარ-

თავს ფიფასთვის, თქვენს აგენტებს მიხედვით.
მაინც რას ედავება ჩვენი ფედერაცია ზურაბ
ხიზანიშვილის აგენტ ათოლ სტილს?

როგორც სტილის და მონტენერის წერილე-
ბიდან ჩანს, ფედერაციას დაუნიშნა, ინგლისე-
ლმა აგენტმა ფეხბურთელი ბერლინის „ჰერ-
ტაში“ გასასინჯად რომ წაიყვანა, უფასო თასის
მატჩი და საქართველოს ნაკრების ბოლო ამხა-
ნაგური გამოატოვებინა მსოფლიოს შესარჩევი
ტურნირის დაწყების წინ.

ათოლ სტილის პასუხი მოკლედ ასეთია: ფე-
ხბურთელისგან ვიცი, რომ თავისუფალი აგე-
ნტი იყო და აქედან გამომდინარე, ვერც ვიჭ-
ვებდი, რომ მას უფასო თასზე „ლოკომოტივი“
უნდა ეთამაშა. რაც შეეხება ნაკრების ბოლო
ამხანაგურ მატჩს, ის ხიზანიშვილის არ გამო-
უტოვებია, რადგან „ფრაიბურგის“ წინააღმდეგ
დაიცვა საქართველოს ნაკრების ფერები.

მართლაც, ჩვენი ეროვნული გუნდის ბოლო-
დროინდელ მატჩთან ხიზანიშვილმა მხოლოდ
ირანთან ვერ ითამაშა და ეს საკითხი, ზურას
მამის, ნოდარ ხიზანიშვილის თქმით, შეთანხმე-
ბული იყო ნაკრების ხელმძღვანელობასთან.

აჰ, ამის დასტურიც:
„ეს მოსალოდნელიც იყო, ზურაბი ნიჭიერი
ფეხბურთელია, კუნძისა და ანკონაში საუცხო-
ოდ ითამაშა და ეს ამბავი დიდად არც გამე-
ვირვებია — 17 ოქტომბერს განუცხადა „სარ-
ბიელს“ „ლოკომოტივისა“ და ამავედროულად
ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა
რევაზ ძიძუაშვილმა და თან დასძინა — ჩვენ
საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ხიზანიშვილი
იმსახურებს ამ წარმატებას“.

ეს სიტყვები რევაზ ძიძუაშვილმა მას შემდეგ
წარმოთქვა, რაც ხიზანიშვილი ლონდონის „არ-
სენალმა“ მიიწვია გასინჯვაზე.

ფედერაციამ კი ისე, რომ არ მოუხმენია
პრეტენზია არც „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრ-
თნელ რევაზ ძიძუაშვილისგან, არც საქარ-
თველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ რევაზ
ძიძუაშვილისგან, ფეხბურთელის აგენტს ფიფა-
ში უჩივლა.

რა გამოდის — ქართველებმა ირანში უკა-



ზურაბ ხიზანიშვილი

ლაბეოდ, უდემეტრადეოდ, უჯანაშვიოდ, უარჩი-
ლარველაძეოდ (მათი აგენტებისა და კლუბე-
ბისთვის ფედერაციას არ უჩივლია) 16 აგვის-
ტოს ითამაშეს, ფიფას კი მხოლოდ 2 თვის
შემდეგ, ანუ მაშინ მისწერა სფფ-მ, რაც ხიზ-
ანიშვილს ლონდონის „არსენალის“ ვარიანტი
გამოუჩინდა.

რა გამოდის და სწორედ ფედერაცია არ
ყოფილა დაინტერესებული ნიჭიერი, ახალგაზ-
რდა ქართველის პრემიერლიგურ კლუბში გა-
დასვლით. და თუ ასე არ იყო, მაშინ რა მოხდა?
ერთიცაა, სტილიცა და მონტენერიც ყურა-
დებებს „ლოკომოტივისა“ და ხიზანიშვილის
ძალაში არმყოფ კონტრაქტზე ამხანაგებენ.
ბუნებრივია, თუ ხიზანიშვილს „ლოკომოტი-
ვთან“ კანონიერი კონტრაქტი არ აკავშირებდა,
არც იყო ვალდებული ბრატისლავაში „სლოვა-
ნის“ წინააღმდეგ ეთამაშა. საპასუხო მატჩში
სათამაშოდ კი, ჩვენვე ვწვდით, ხიზანიშვილი
აკაკი ჩხაიძის თხოვნით საგანგებოდ ჩამოვი-
და.

ერთი სიტყვით, ფიფა სფფ-სგან კლუბისა
და ფეხბურთელის კონტრაქტის ასლს 27 დე-
კემბრამდე ითხოვს.

იმედია, ფედერაცია ფიფას არც იმ ფაქტს
დაგვიშალავს, რომელსაც „ლოკომოტივი“-ხიზ-
ანიშვილის ცარიელი კონტრაქტის ასლის გა-
ზავნის შემდეგ მიიღებს.

გახტანა ბზიბაძე

ათოლ სტილის მიერ ფიფაში და ფიფას მიერ სფფ-ში გაგზავნილი წერილები იხილეთ შესაბამე გვერდზე



ვის გასდება საუკუნის ფეხბურთელი?

ამ კითხვას პასუხი ზემ
როში გააცხადა,
დღემანდელ
„სარბიელში“ კი
მარაუდებსა და ერთ-
ერთი პრეტენდენტის
მორიბ „ბრანულ“ აზრებს
გააცნობით

იხილეთ მეტოფე გვერდი



სუპერლიგაში
ყველა
მარცხიანი

რეპრეზენტაციის კვირის სურს და ლოკომოტივიზმი პარჯიზობს

ლიტვას და იტალიაში თავგამორჩენილ, ლატვიის ჩემპიონ „სკონტოს“ კაპიტანს, ალექსანდრე რეზიაშვილს დიდი შანსი აქვს კარიერა უკრაინულ კიევის „დინამოში“ გააგრძელოს. მას უკვე რამდენჯერმე შეეხმანენ და კიევის ჩასვლა სთხოვეს. ის კი ჯერჯერობით თავს იკავებს, ამბობს, ჯერ არსად მერქარება და მიჯობს, „სკონტოდან“ ინგლისში გადავარდევ, რამდენიმე იქაური კლუბი მებატიყებაო.

კიეველები ალექსანდრე რეზიაშვილით ადრეც იყვნენ დაინტერესებულნი, ახლა კი სურვილის ასრულება გადაწყვიტეს და ჩვენებურს რიგაშიც უკავშირდებიან. ლიტვისა და იტალიის ნაკრებებთან თამაშების შემდეგ რეზიაშვილმა სპეციალისტებისგან კარგი შეფასება დაიმსახურა და ვფიქრობთ, აისმერე მისი „დინამოში“ შესაძლო გადასვლა არც უნდა იყოს გასაკვირი. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ

კიევის „დინამოდან“ ერთი ჩვენებურის, კახა კალაძის ტრანსფერიც არის მოსალოდნელი.

თავად ალექსანდრე რეზიაშვილი დღესდღეობით ლატვიელ მეუღლესთან და შვილთან ერთად თბილისშია — მან ბავშვი უნდა მონათლოს. თანაც ფორმის შესანარჩუნებლად სხვა ლატვიელი ლეგიონერებზეთ ყოველდღე თბილისის „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს.

კობა ინსარაძე

კიკნაძე თავისუფალია

გიორგი კიკნაძე გერმანული „ფრაიბურგის“ ფეხბურთელია. თითქმის ყველა პრობლემა უკან დარჩა. ახლა მის თამაშს წინ ვერაფერი დაუღვება.

ერთი თვის წინ ასე არ იყო. თურქული „სამსუნსფორი“ კუთვნილ 90 ათასს ითხოვდა, ხოლო ფიფა ფეხბურთელს თამაშის უფლებას არ აძლევდა.

იყო კიკნაძე უგუნდოდ, მხოლოდ ინდივიდუალურად თუ ვარჯიშობდა, დრო კი გადიოდა.

გიორგის პრობლემების მოგვარება ქუთაისის „ტორპედომ“ იკისრა. საქაშემში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც ჩაერია და კიკნაძესაც თითქოს „ტორპედოში“ უნდა გაეგრძელებინა კარიერა, მაგრამ უცბად „ფრაიბურგის“ ვარიანტიც გამოჩნდა და გიორგიმაც გერმანიას მიასურა.

მერე რა როგორ იყო „სარბიელის“ მკითხველებს კარვად მოეხსენებათ, ახლა ფიფაც ყაბულსაა კიკნაძემ ითამაშოს, მაგრამ...

— თუ „სამსუნსფორი“ და „ტორპედო“ თანხმობას აცხადებენ, კიკნაძემ „ფრაიბურგში“ ითამაშოს, მაშინ ჩვენ არანაირი პრობლემა არ გავგვანია, იტყობინება ფიფას მოთამაშეთა სტატუსისა და ტრანსფერის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ჯანაპოლო მონტენერი.

„ფრაიბურგი“ თანახმაა, „სამსუნსფორს“ კუთვნილი 90 ათასი დოლარი აუნაზღაუროს. რას მიიღებს „ტორპედო“, არ ვიცით, თუმც სიმართლე გითხრათ, ეს ნაკლებად საინტერესოა. მთავარია, რომ ფეხბურთელს თამაშის და თავის გამოჩენის უფლება დაუბრუნეს.

დათო დანელია

გერმანია
XVI ტური
ანტარაბტი 12 მოლფსაჰური
II გუნდისლიგა
XVI ტური
ფუნსაჰური 21 ზაარარეიხაინი
როიტილიგანი 22 ულმი

გალებია
XVI ტური
სტანდარდი 33 მუსკარენი

საფრანგეთი
II დივიზიონი
XXIII ტური
სოზო 36 ნიორი

იტალია
სერიას B
XV ტური
კალიარი 05 ტორინო

პორტუგალია
XIV ტური
შილ მისანტი 02 გოავიზა

თურქეთი
XVI ტური
ფინიზლი 20 ტრაზურენი

ინგლისი
თასის მფორე ეტაპი
უოლსოლი 21 ბარნები
გროვინანი 12 ნოთს ძაუნთი

დადეგზე გამოვა რევაზ შენგელიას „ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი“, რომლის შექმნაც 5 ლარად შეგეძლებათ საგაზეთო ვიზუალებას და კერძო გამაგრელებლებთან.

დათო დანელია



სამი დღის წინ „ვიტ ჯორჯია“ „დინამოს“ დამარცხებას ხარობდა

სამხრეთველქოს თასი
ფაოთხადფინალის საპასუხო მატჩი. 10 დეკემბერი

კვირას ვისი აჯობებს?

დარჩა კიდევ რამე გასარკვევი? ალბათ კი, და კვირას ყველაფერს ნათელი მოეჩინება, თასის ნახევარფინალისტიების ვინაობა გვეცოდინება.

პირველმა თამაშებმა ზოგიერთის უპირატესობა ცხადყო, „ლოკომოტივი“ რომ ნახევარფინალისტია, ამაში, ეჭვი მგონი არავის უნდა ეპარებოდეს. კი, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგრამ არ არის „სამეურალი“ რეინიგზელთა წამქცევი, თანაც კაპიტანს მოისაკლისებს, ბესიკ ბერაძე დისკვალიფიცირებულია.

არც გორის „დილა“ გასლავთ შინ წაგებული თამაშის ამომტრიალებელი. ვაჟა ხაჩირაშვილი აკოფიანს და რევაზიშვილს ვერ ათამაშებს, ხოლო დავით ჯიშკარიანი — კობესაშვილს და ცკიფურიშვილს.

რთული მატჩი ელის „კოლხეთს“ ქუთაისში. თუ ფოთელთა თავკაც სოსო ფილიას დავეჯერებთ, მაშინ უპირატესობა ქუთაისელთა მხარესაა. პრობლემები ორივე მხარესაა, მაგრამ კოლხეთა დანაკლისი გაცილებით მნიშვნელოვანია. გოროხიასა და ფანჩულიძის

ტრავმებს, ახალკაცის დისკვალიფიცაცია ემატება. ბოლო თამაშში არც კი კლიაშვილი გამოჩენილა, ამბობენ, სეფეხბურთო კარიერას ამთავრებსო.

დავით ყიფიანი უპირველეს მეგობარ იონანიძეს მოისაკლისებს, ზურაბი დისკვალიფიცირებულია.

რაც შეეხება პირველი მატჩის არაიტრ დავით სანაიას, მართალია, „ფაზის სხე“ მას გარკვეული შეცდომები დღეშეა, რაზეც სამსაჯო კომიტეტმაც მუთუთთა, მაგრამ ორივე გუნდის მწვერნელთა მოთხოვნით და შეთანხმებით „ტორპედო“ — „კოლხეთის“ საკვირთა თამაშს ისევ სანაია განსჯის.

უპირინციპულესი მატჩია მცხეთაში „ვიტ ჯორჯია“ აშკარად უკეთეს დღეშეა, ვეტერინარებმა მეტოქე თავისსვე მოედანზე დაამარცხეს და სულ სხვაგანსუობაზე მოუღიან „დინამოს“.

ტრავმირებული, როგორც ვიცით არავინაა, არც დისკვალიფიცირებული ვინ ვაჟა ნახევარფინალში, ამას კვირადღე გვაჩვენებს.

დათო დანელია

ვიტ ჯორჯია — დინამო
მსაზრდენი: ა. შალამურიძე, გ. კუკელიშვილი, ნ. რუსიშვილი, მ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); ს. ზვინაძე, ნ. მამუკაშვილი, გ. ფორცხაძე

ლოკომოტივი — სამგურალი
მსაზრდენი: ა. ორდინიძე, მ. ელივაშვილი, ზ. დოლიძე, ლ. ფანიშვილი (ყველა თბილისი); ს. ზვინაძე, ნ. მამუკაშვილი, ო. გუთიძე, ფ. მარტოვილი, მ. ბერიძე (სამგურალი)

გორკადო — კოლხეთი
მსაზრდენი: დ. სანიყა, ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი); გ. ვირაძე (გულრიფში); გ. მუსხი (ზუგდიდი); ს. ზვინაძე, ნ. მამუკაშვილი, მ. ქარცხაძე, ფ. მარტოვილი, მ. ბერიძე, იონანიძე (ტორპედო); ახალკაცი (ყოლხეთი)

მერანი — დილა
მსაზრდენი: ა. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედი); ა. კრიჭიაშვილი (თბილისი); ს. ზვინაძე, ნ. მამუკაშვილი, მ. ლეღაშვილი, ფ. მარტოვილი, მ. ბერიძე, იონანიძე, კობესაშვილი, ცკიფურიშვილი (მერანი); აკოფიანი, რევაზიშვილი (ლოკომოტივი)



ინტერაბტი — გოლფსბურგი 1:2. ფრანგურტელი ტომამ სობოტაიის დარტყმის შედეგად კლასის რაიტმაიერი და თომას ჰენგე აღუდგნენ

სიზანივილი - ლოკომოტივის საქმი

ფეხვართი VS სტილი

ასლი „ბ“

The Player and the Company shall not disclose to any third party any confidential business information of the other party acquired during the currency of this agreement...

7. (a) Both the Company or the Player may terminate this contract at any time with immediate effect provided that both parties agree in writing to such termination.

(b) This contract will automatically and continuously renew itself for further periods of 1 year unless either party shall have given notice in writing of intention to terminate this contract at least 3 months before the original or successive expiry dates.

8. The Player hereby agrees that he fully accepts and understands the terms and conditions of this contract through registration given to him by S.I.I.S.P. DAKSADZE.

9. Any dispute will be settled under English Law.

and accept the terms of this contract.

Signed: [Signature] for and on behalf of The Player
Date: 17/05/2000

თარიღი: 15 ივნისი, 2000
ორგანიზაცია: შპს ათოლ სტილის საერთაშორისო მენეჯმენტი
ბატონი ათოლ სტილის საყურადღებოდ
ზურაბ ხიზანიშვილისგან

ასლი „ბ“

ბეირფასო ბატონო სტილი,
მოსარული ვარ გაცნობთ, რომ ჩემი სიტყვიერი შეთანხმების ხანმოკლე ვადა თბილისის „ლოკომოტივთან“ ამოწურა 2000 წლის 31 მაისს. ამჟამად მე მსოფლიოურად თავისუფალი ვარ ნებისმიერი კლუბისგან და შემიძლია წავიკ... სადაც მსურს, სატრანსფერო თანხის გარეშე.

გმაღლობთ,
ზურაბ ხიზანიშვილი

25 ივლისი, 2000
ვისაც ეხება

ასლი „მ“

მოწვევა
საფეხვართო კლუბ მოსკოვის „სპარტაკს“ სურვილი აქვს მოიწვიოს ბატონი ზურაბ ხიზანიშვილი (დაბადებული 1981 წლის 7 ოქტომბერს) და მისი ექსკლუზიური ფიფას აგენტი ბატონი ათოლ სტილი რუსეთში, მოსკოვში 2000 წლის 26 ივლისიდან 2000 წლის 5 აგვისტომდე, რათა გაგრძელდეს მოლაპარაკება მოთამაშის ტრანსფერის თაობაზე და შეთანხმების შემთხვევაში ხელი მოეწეროს კონტრაქტს.

სკ მოსკოვის „სპარტაკი“
იური ზავარზინი, გენერალური დირექტორი

თარიღი: 27 ივლისი, 2000
ვიქტორიას საყურადღებოდ
ათოლ სტილისგან

ასლი „დ“

ბეირფასო ვიქტორია,
თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გივზავნით ჩემი პასპორტის ასლს.

საუკეთესო სურვილებით,
ათოლ სტილი

თარიღი: 30 ივლისი, 2000
ორგანიზაცია: სკ მოსკოვის „სპარტაკი“
ათოლ სტილისგან
ვევრდნობი ზურაბ ხიზანიშვილს

ასლი „ე“

ბეირფასო ვიქტორია,
სამწუხაროდ უნდა ვაცნობო მოსკოვის „სპარტაკს“, რომ ბოლო სამ დღეში ჩემ კონკრეტული წინადადება გერმანული გუნდისგანაც მივიღეთ და მოთამაშე მამამისთან ერთად გადაწყვიტა გერმანიაში მოსალაპარაკებლად წასვლა.

რა თქმა უნდა, ეს ნიშნავს, რომ არ გვაქვს შესაძლებლობა 5 აგვისტომდე ბეირფასოთ კონტრაქტი „სპარტაკთან“.

ვეულობ, ეს არ განაწყენებს „სპარტაკს“, მიუთქვს, რომ მოთამაშემ და მამამისმა მოხიფეს, თქვენი ინტერესის სანაცვლოდ გადმოძეცა თქვენი პრეზენტაციის მათი სამადლობელი და საუკეთესო სურვილები.

საუკეთესო სურვილებით,
ათოლ სტილი

ათოლ სტილი: მე არ მჭირდება დაუპირისპირი სიზანივილი
გამოყენება, როგორც ახას საქართველოს ფეხვართი ახსნაღებს

15 ნოემბერი, 2000
ვან პაოლო მონტენერი, მოთამაშეთა სტატუსისა და ტრანსფერის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი.
ფიფა. პიტცივეგე II, საფოსტო ყუთი 85, 8030 ციურიხი, შვეიცარია
ბეირფასო, ბატონო მონტენერი,

პასუხად: საქართველოს ფეხვართის ფეხვართისაგან ავანტი ათოლ სტილი, ინგლისი (ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი“, საქართველო; მოთამაშე ზურაბ ხიზანიშვილი)

გმაღლობთ, 10 ნოემბერს გამოგზავნილი წერილისთვის, რომელსაც თან ერთვის საქართველოს ფეხვართის ფედერაციის მიერ თქვენდამი 16 ოქტომბერს გამოგზავნილი წერილის ასლი.

საქართველოს ფეხვართის ფედერაციის განცხადებებს ასე ვუპასუხებ:

1. მოლაპარაკებები, რომელიც კი მე ოდესმე მქონია მოთამაშესთან, მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მე განვიხილე კონტრაქტი, რომლითაც შევეუქმენი წარმოდგენა ჩემი, როგორც ფიფას აგენტის შესაძლებლობებზე.

შესაძლოა, თქვენთვის სასარგებლო იყოს იმის ცოდნა, რომ პირველი კონტრაქტი, რომელიც დაიდო ჩემსა და ფეხვართულ შორის, შედგა მისი მამისა და ინგლისურად მოლაპარაკე ქართველი იურისტის დახმარებით. მოთამაშემ ჩემთან ექსკლუზიურ კონტრაქტს (იხილეთ ასლი „ა“) მოაწერა ხელი და შეეთანხმდა, რომ მე უნდა მეცადა მისთვის დასავლური კლუბის პოვნა.

მე ვიცოდი, რომ ფეხვართულს ჰქონდა დროებითი კონტრაქტი თბილისის „ლოკომოტივთან“ იენისამდე, რადგან მისმა ყოფილმა კლუბმა თბილისის „დინამომ“ ის უკომპენსაციოდ გაუშვა.

2. ამის გამო მოთამაშემ ნამდვილად თავისუფალი აგენტი იყო, ან თუ არა, კონტრაქტის ბოლო ექვს თვეში იმყოფებოდა. სწორედ ამიტომ მე არ ვიყავი ვალდებული ვინმესთვის ჩემი მიზნები გამეზიარებინა. უფრო მეტიც, მე არ მქონდა მიზნები, მის თავისუფალ სტატუსში დასაეჭვებლად, რადგან 15 ივნისს მის მიერ მოწერილი წერილის შემდეგ მალევე დამიკავშირდა უშუალოდ მოსკოვის „სპარტაკი“ (იხილეთ ასლი „გ“), კლუბი, რომელიც ასევე ინფორმირებული იყო მისი თავისუფალი სტატუსის შესახებ, რაც თარჯიმან ვიქტორიას საშუალებით დამიდასტურა.

მეც ვუპასუხე მოსკოვის „სპარტაკს“ (იხილეთ ასლი „დ“), რომ გავეზავნებოდი მოსკოვში ფეხვართულის კონტრაქტის განსახილველად და ვაპირებდი კიდევ ამას, როცა მოთამაშესთან ერთად მომიხდა გერმანელი ფიფას აგენტის, რაინერ შტორკის წინადადებაზე მსჯელობა. მან თქვა, რომ რამდენიმე გერმანულ კლუბს ჰქონდა სურვილი მოთამაშე ხიზანიშვილის გასინჯვისა და დარწმუნებული იყო, რომ შეძლებდა ერთ-ერთი მათგანისგან მის მიწვევაზე დასტურის მიღებას. მე გავაცანი სიტუაცია მოთამაშეს და მის მამას, რომლებმაც გადაწყვიტეს მოსკოვის „სპარტაკზე“ უარის თქმა (იხილეთ ასლი „ე“) და გერმანულ

ფიფა: კონტრაქტის ხანგრძლივობა ან საქმიანი
ინიშნალობა როგორც თამაშის. ჩვენ განსაკუთრებით
ან დროგადასრულების ასლის მიღება გვინტერესებს

ტელეფაქსი: საქართველოს ფეხვართის ფედერაციის გენერალურ მდივანს, ბატონ ვლერი ჩოლარიას
ციურიხი, 4 დეკემბერი, 2000

საქართველოს ფეხვართის ფეხვართისაგან ავანტი ათოლ სტილი, ინგლისი (ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი“, საქართველო; მოთამაშე ზურაბ ხიზანიშვილი)

ბეირფასო ბატონო,
ჩვენ ვუბრუნდებით ზემოთხსენებულ საქმეს და გვსურს, გაცნობთ, რომ ამასობაში მივიღეთ მოთამაშის აგენტის კომენტარი თქვენი ფედერაციის მიერ გამოთქმულ პრეტენზიებზე.

თანდართული შესაბამისი დოკუმენტის ასლიდან თქვენ შეგიძლიათ ყურადღება მიამართოთ იმ გარემოებას, რომ აგენტი ისევ თავისას ამტკიცებს, რომ მოთამაშე ზურაბ ხიზანიშვილთან 2000 წლის 17/18 მაისს გააფორმა კონტრაქტი ექსკლუზიურ წარმომადგენლობაზე. გარდა ამისა, ის ამტკიცებს, რომ შეთანხმება, რომელიც მოთამაშეს აკავშირებდა თქვენს კლუბთან, თბილისის „ლოკომოტივთან“, ამოწურა 2000 წლის ივნისში და აქედან გამომდინარე მოთამაშე თავისუფალი იყო და უფლება ჰქონდა დაელო კონტრაქტი სხვა კლუბთან მოთამაშეთა სტატუსისა და ტრანსფერის ფიფას წესების შესაბამისად. აგენტი ხაზს უსვამს, რომ გერმანელი აგენტის, ბატონ რაინერ შტორკის დახმარებით მხოლოდ ერთი გასინჯვა მოუწყო მოთამაშეს ბერლინის „ჰერტაში“. არც მოთამაშემ, არც ამ საქმეში ჩარეულმა იურისტმა და არც მოთამაშის მამამ არ შეატყობინეს მას იმ ფაქტის თაობაზე, რომ ზურაბ ხიზანიშვილი გამოტოვებდა უფასო თანხის მატარ და ასევე ეროვნული ნაკრების ერთ თამაშს. მას რომ ამ სიტუაციის

შესახებ სცოდნოდა, გადადებდა ბერლინის „ჰერტაში“ გასინჯვას, რადგან კლუბს არ ეჩქარებოდა. და ბოლოს, როგორც მოთამაშის აგენტი მიუთითებს, მოთამაშის მამა არ წმუნებდა მას, რომ არსებობდა მხოლოდ ძალაში არმყოფი კონტრაქტი მოთამაშესა და თბილისის „ლოკომოტივს“ შორის.

ჩვენ მაღლივინ ვიქნებით, თუ თქვენს პოზიციას მოთამაშის აგენტის განცხადებების შესახებ 2000 წლის 27 დეკემბრამდე გავაცნობთ. იმის გამო, რომ ხანგრძლივობა დასაქმების კონტრაქტისა, რომელიც აკავშირებს მოთამაშეს თქვენთან გაწვევრიანებულ კლუბთან, ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ჩვენ განსაკუთრებით ამ დოკუმენტის ასლის მიღება გვინტერესებს.

გმაღლობთ ყურადღებისთვის და თქვენს პასუხს უახლოეს მომავალში ველით.

მუდამ თქვენი,
ფიფა

ვანპაოლო მონტენერი,
მოთამაშეთა სტატუსისა და ტრანსფერის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი
ასლი ბატონ ათოლ სტილის (2000 წლის 15 ნოემბრით დათარიღებული წერილის და ფაქსის მიღების დასტურად)



უფვას თასი. მეოთხედიანი შედეგები. საპასუხო მატჩები. 5 და 7 დეკემბერი



Table of football matches and results under the UEFA Cup section, including teams like FC Zestafoni and FC Dila.


შეჯამება თასზე რეკორდი დამყარდა — მეოთხედიანი შედეგები ერთი ქვეყნის შვიდ წარმომადგენელს აქამდე არ უთამაშია. გერმანიას კი ხუთშაბათს სწორედ ამ ეტაპზე პანტალონით დაიფრინა გერმანული გუნდები.



ლივერპული — ოლიმპიკოსი 2:0. მასპინძელი ნიკ ბარბი შეკარე დემიტრიოს ელფეთეროპულოსს გასცდა და ბერძნები მეორედ დაამწუხრა

მელმაც ხუთშაბათს შემდგომ ეტაპზე გააღწია „აინზერლანდერნი“ გახდა. ანდრეას ბრემეს შეგირდობა შოტლანდიურ „რეინჯერსს“ შინ მოპოვებული ერთობლივი უპირატესობა უკვე მე-8 წუთზე არაფრად უქცევს და ამის მერე ძირითად მასპინძლებს დომინირებდნენ.

თპერატორი პეპი



თორმას ენევისტი

სანბარძლიძი და მომენტილი სა-
ნიშნებო სეზონის ბოლოს იშვიათია
მოთამაშე, რაიმე მინც არ აწუხებდეს.
თუ ზოგის წამალი თვამურ წრეში
ყოფნა, ეგზოტიკურ ქვეყნებში მოგზა-
ურობა და დასასურებელი შეგებულე-
ბით ტკბობა, ზოგს ის ძველი იარები
გაცილებით უსიამოვნო მდგომარეობა-
ში აგდებს.

შედემა ვარსკვლავმა ტომას ენევი-
სტიმა, მაგალითად, ორიოდ დღის წინ
საკმაოდ რთული ოპერაციები გადაი-
ტანა და მარტამდე თამაშს ვერ შე-
ძლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სკანდი-
ნაციულს ავსტრალიის ღია პირველი-
ბისა და ლევისის თასის პირველი წრის
მატჩის გამოტოვება მოუხდება.

„ტომასი ვარჯიშს ორ თვეში თუ
განაახლებს — განაცხადა შვედეთის
ნაკრების ექიმმა პერ რენსტრომმა —
ჩვენი მიზანია, ტურნირებზე ასპარე-
ზობას ის სამ თვეში დაუბრუნდეს“.

რენსტრომმა ენევისტს ფეხიდან
ძვლის პატარა ნაკვერი ამოკალა და
ქრონიკულად მტკივან მარჯვენა მხა-
რსაც შეეხო სკალპელით. ორივე ტრა-
ემა ჩოგბურთელს მთელი სეზონის მ-
ანიძღვ აწუხებდა.

ახლა შეიძლება ოილად აისხნას, თუ
რატომ იყო ცუდ ფორმაში შვედი ბო-
ლო თვეებში — ენევისტიმა მტუტგა-
რტის, პარისისა და სტოკჰოლმის ტუ-
რნირებზე ზედიზედ სამი მატჩი წააგო.
ამის მიუხედავად, წელიწადი მან კლა-
სიფიკაციაში მეტრებმ დაასრულა და
სულ მცირედი დააკლდა ლისაბონში „მა-
სტერის თასზე“ მოხვედრამდე.



სერგეი კოლუჩინი

კლიუბინის საიდუმლო

ამ ამბავმა ჩვენამდე სააგენტო „რო-
იტერის“ შემწეობით მოაღწია, იმან „სო-
ვეტსკი სპორტიდან“ ამოიწერა, არქა-
ულსახელიანი რუსული გაზეთის ფურ-
ნალისტებმა კი პირველწაროდან შე-
იტყვეს.

სიდნეის ოლიმპიადამდე გამორჩეულად
გამოვხატული სერგეი კოლუჩინის მი-
ერ კაცთა სიმაღლეზე ხტომის მოგება
იყო. ვის არ უზრახავდნენ ჩემპიონო-
ბას: კუბელ ზავიერს სოტომაიორს (შსო-
ფლიოს რეკორდსმენია), რუს ვიანე-
სლავ ვორონინს (წლეულს 2,40 მე-
ტრს გადაეკლ) და ცოტათი სხვე-
ბსაც, მაგრამ ოლიმპიადამდე დაიბრუნე-
ნკლად იქცა 2,32 მეტრი და იმაზე
მაღლა ლედიამის მიხედვლობასთან
ბრილა ვერავინ, თვით რჩეულებმაც
ვერ შეძლეს. ამ დროს გამოვიდა ყო-
ველ უჩინო მოსკოველი, მგონი, ფიზი-
კულტურის მასწავლებელი და — 2,35!
მხოლოდ ახლა ირკვევა, რომ ჩემპიონ-
ობისთვის მას ლიპინგის მოხმარებით
მიუღწევია, ოღონდ აკრძალულთა სა-
სიამოვნო იყო.

სიამოვნოს ძებნა უიმილო საქმეა
რადგან 50 გრამი კონიაკი ჰქვია „სი-
გრამი კონიაკიდან მოსული „პრინცი-
დი“ ხტომების წინ უებარი რამეა —
უთხრა კოლუჩინმა „სოვეტსკი სპო-
რტის“ შეჩქეფებულ ჟურნალისტს —
რა გაგიკვირდათ? რამდენიმე სხვა მ-
ტომულსაც უყვარს შეჯიბრების წინ
ალკოჰოლის მიღება“.

თუ ამ ამოიწერა და ჟურნალისტმა
ახლა ეს კითხვა ოლიმპიურ ჩემპიონს
წლის საუკეთესო მსტომელი ვინ გეო-
ნითო, რაზეც შეხურების მოყვარუ-
ლისგან ფრად თავმდაბალი პასუხი
გაისმა: „სოტომაიორი, ვორონინი, ოს-
ტინი (ატლანტის ოლიმპიადის ჩემპი-
ონი) — დაალაგა კოლუჩინმა — მე
რაღ შემეგება, ჩემს შანსებს მუდამ რე-
ალურად ვფასავდი, ოლიმპიადამდე
ოქროს მოგებაზე არასოდეს მიფიქრია
სხვა შეჯიბრებში 2,30-ზე მაღლა არ
ავსულვარ, სხვები კი 2,40-მდე აღი-
ვლინენ. ოლიმპიადა ბედნიერი შემთხ-
ვევითობა იყო“.

გურბანის ეკალიზ შავია

როზორც ფრანგები იტყვიან, ყოველ უსიამოვნო სი-
ტუაციაში ქალი უნდა ებიო. ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე
პოპულარული და ტკბილი წვევლის — ბორის და ბარბარა
ბეკერების დაშორების ამბით გაოცებულმა გერმანელებმა
ზემოხსენებულ სიბრძნით ისარგებლეს და ბევრი თავის
მტკრევის გარეშე მიაგნეს „დამაშავებს“.

აღმოჩნდა, რომ უიმბლდონის სამეზის ჩემპიონს გემოვნე-
ბა არ შეუცვლია და მისი მორიგი რჩეულიც კანის მუქი
ფერითა და მომღერლის კარიერით გამოირჩევა. 26 წლის
საბრინა სეტლერი წარმოშობით ინდოელია, რომელიმაც
გამოკითხვით გერმანიის ყველაზე სექსუალურ ქალბატონა-
დაც აურჩევით და ძირითადად „ჰიპ ჰიპის“ ფანში სიმღე-
რითაა დაკავებული.

როზორც გერმანული ვახეთები იუწყებიან, ბეკერი და სე-
ტლერი ამ ბოლო ხანებში ხშირად ერთად დადიან მოღერ
ბარებსა და რესტორნებში, იქ გვიანობამდე ჭუჭყუკბენ და
მერე ასევე ერთად მიემართებიან სასტუმრო „ბლექ ფორე-
სტში“, სადაც 7 წლის წინ ბეკერმა ქორწილი გადაიხადა.

იმედია, არაიწ მოვლის, რომ ჩემი ცოლი მონასტერში აღი-
კვებება, ან მე შედეგები ბერად — ამბობს თავად ბორისი,
თუმცა ამჟამ ვერც ბარბარასთან დაშორების მიზეზად სე-
ტლურს არ აღიარებს — ეს ნაბიჯი სხვა ქალის ან სხვა კაცის
გამო არ გადავიდგამს, უბრალოდ, კარგა ხანია, უთანხმოებები
გაგვიჩნდა, რომელთა გადაწყვეტაც ვერ მოვახერხეთ.“

ბეკერის თქმით, მათი ორი ვაჟიშვილი საცხოვრებლად
დედასთან დარჩება, წვევილი კი განქორწინებას უახლოვს
მომავალში არ აპირებს: „როდესაც ორი შვილი გყავს, ეს
იოლი სულაც არ არის. იმ ადამიანთან დაშორება, რომე-
ლიც ასე ვიყვარს, ქირურგიული ჩარევით არ ხდება, ხანგ-
რძლივი და მტკივნეული პროცესია. იმედია, ხალხი მიხე-
დება, რომ ეს პირადი საქმეა და ჩვენს ცხოვრებაში არ
ჩაერევიან.“



საბრინა სეტლერი

ბეკერი საცხოვრებლად მიუნხენში აპირებს დარჩენას,
შობას კი აუცილებლად ცოლის და შვილების კომპანიაში
შეხვდება.

ავთანდილ სვანიძე

2-2-1: ქართული ნადავლი კივიდიან

უპრაინის კარატე დოს ფედერაციამ რამდენიმე დღის
წინ მეორედ მოაწყო ქალაქ კიევის ღია პირველობა, რომე-
ლიც მართლაც ღია გამოდგა — დამოუკიდებელ სახელმ-
წიფითა თანამეგობრობის ქვეყანათა უმრავლესობამ საე-
როთო ჯამში 1000-ზე მეტი კარატისტი გაეზავნა და მათგან
7 ქართველი იყო. ორი ჩვენბური კიევეს მსაჯადც გაემეზა.

ბრძოლები (კუმიტე) და ტექნიკური კომპლექსის ჩვენბა-
ნი (კატა) ყველანიარ ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდა,
რისი მოფიქრებაც შეიძლებოდა. ცალკ-ცალკე ერთმანეთს
გაეჯიბნენ მდერნი და მამრნი, ბავშვები, იუნიორები, კადე-
ტები, მოზრდილები და ვეტერანები. ქართველები გვარია-
ნად გამოვიდნენ და 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაო-
სი მედალი ჩამოიტანეს. გარდა გუნდურ კატაში აღებული
პირველი ადგილისა, ნიკოლოზ წურწუშია კუმიტეში იუნი-
ორთა ჩემპიონი გახდა. ვიცე-ჩემპიონებად დაბრუნდნენ: ბა-
ვშუთა ასაკში — ემილ თოფჩიევი (ინდივიდუალური კატა)
და მოზრდილთა შორის ჭაბუკა მახარაძე (ინდივიდუალური
კატა). და ბოლოს, ბრინჯაოსაც მოზრდილთა კატაში
ნიკოლოზ წურწუშია დაეუფლა.

მსაჯობდნენ: ჭაბუკა მახარაძე და კობა ცერცვაძე, ხოლო
ქართულ დელეგაციას კიევეში წასასვლელად არავინ დახმა-
რებია. ყველაფერი კარატისტიებისა და მათი სანათესაოს
სახსრებით გაკეთდა.



ჭაბუკა მახარაძის (მარცხნივ) დარტყმები კიევეში
მხანს ხშირად აღწევდნენ

ქვემოთ დარბაზში

REUTERS ფრანკფურტიდან



პატარა შუშის ვნახანი

რასაც ახლა შუმხერიანთ რაღფი აკეთებს, იმას თითოეული თქვენგანი მოახერხებს: ვირტუალურად ფორმულა 1-ის მანქანაში კი არა, რატომ სინათლის სიჩქარით მოძრავე რაკეტაში არ ჩაჯდება კაცი. სხვა საქმეა ნაღდი ბოლიდი, იმის ოთხასით წაყვანა მხოლოდ ერთეულთა საქმეა, აი, იგივე რაღფი და მისი უფროსი დედამამიშვილი, მიხაელი რომ არიან.




დამრჩევებული ზუან ანტონიო სამარანჩი და მისი ქალიშვილი მარია ტერეზა ბარსელონის სენტ ზორდის დარბაზში მისულან. აქ ესპანეთის ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასის ამბავში ავსტრალიელებს მასპინძლობდა და ფაგორიტადაც ითვლებოდა, რაზან თამაში ბალახზე არ იყო. აქამდე კი სადაც დაეჭირათ იზებს ესპანელები, იქ გამოეგდოთ დევისის თასიდან.

REUTERS ალგარვედან



კლაუდიას მოქმევა

როცა საქმე აწყობილი გაქვს, გართობასაც აღარაფერი უდგას წინ. შვედი მეგოლფე იანმო სანდელინი ყვანჯის მოქმევას ასწავლის გერმანელ მოდელს, კლაუდია შიფერს. კლაუდიაც მოქმევას ღამობს.



პარჯიშის სერსი

მს რაიმე ახირება არ გვეგონოთ, ეს სერიოზულ ვარჯიშია. ბრაზილიელი კრისტინან ბლანკო სწრაფად მიმქროლაგ მანქანის ძარახე დგას და ასე ემზადებ შუჯიბრისათვის. ცხელი ბრაზილიიდან, სადაც ამჟამად ზაფხულია, ბლანკო საფრანგეთის მთებისკენ გაემუშურება, სადაც მეგვეის დაშვებაში მიიღებ მონაწილეობას. ბრაზილიელ მთიხილამურეს სჯერა რომ სან პაულოს ინტერლაგოსის ტრასაზე ნაგარჯიშევი, ფრანგულ თოვლში გამოადგება.

კვლავ ვიჩინსო

არბმენტის ბელა ვისტაში გოლფის მსოფლიო თასი თამაშდებოდა. მოგებული გუნდის დასაჯილდოებლად მთლზე გასულან ქვეყნის პრეზიდენტი ფერნანდო დელა რუა (შუაში) და არგენტინის ლეგენდა-ყვანჯოსანი რობერტო დე ვინენცო (მარცხნივ). ვინენცო ის კაცი გახლავთ, ვისაც მსოფლიო თასი დაარსების წელსავე მოუგია, ანუ ორმოცდაშვიდი წლის წინათ.



სარბიელი
საორტული გაჯეტი
გამოიცევა 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოდის საფშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯოსხვერია
დირექტორი ბიორბი ოქრომჭაღლიძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მიკველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიძე
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მირაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბუკაძე, სოლომონ გულისა-
შვილი, ვიორგი დარჯანია, ვიორგი ვაშაძე, კობა ინასარიძე,
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქრობორიძე
ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დ-

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდი-
ლ სვანიძე, კალათბურთის რედაქცია ვიო ახვლედიანი, ვიორგი
ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში
თუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენუაშვილი,
ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა ვიორგ-
ობიანი, ლალი ვოზლიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია
ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი,
კანა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი,
მარიამ ტაბიძე, თენგივ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ ში-
ლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
ქორპუსი, IV სართული.
საზოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საზოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbieri.com.ge>

REUTERS ბელი ვისტაიდან